



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 867/ს



15/06/2021

867-11-4-202106151716

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის გადმოცემული (სპეციალური ჭრის) შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის IV ხარისხის (ალვის ხის, კედარის და ჭადარის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი)-სულ - 48,35 მ³ საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N305) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 26 აპრილის დასკვნის N002786421, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანებისა და კახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2021 წლის 18 მაისის N5682/01 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N305 ლაგოდების მუნიციპალიტეტში კახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, სს „ენერგო პრო ჯორჯია ე.გ. ხაზი „ლუდი“ -ს დაცვის ზონა სოფ. აფენის მიერ გადმოცემული სპეციალური ჭრის შედეგად მოპოვებული 48,35 მ³ ფოთლოვანი და წიწვოვანი სახეობის (ალვის ხის, კედარის და ჭადარის) IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი